ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

სხდომის ოქმი # 15

2018 წლის 12 მარტს გაიმართა „ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ მორიგი, რიგით მეთხუთმეტე სხდომა. შეხვედრას ესწრებოდა დელეგატთა 11 წევრი. შეხვედრა გაიმართა დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, რომელსაც ასევე ესწრებოდა ცენტრის ხელმძღვანელი ქ.-ნი ლიანა ჩარკვიანი.

დღის წესრიგი:

1. სხდომის გახსნა-ბ.-ნი რეზო ბერაძე
2. სხდომის თავმჯდომარის არჩევა,
3. 2017 წლის ბიუჯეტის 3 კვარტლის შეჯამება, რეკომენდაციების წარდგენა.
   ა) განათლების ჯგუფა.
   ბ) ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა ჯგუფი.
   გ) სპორტის, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა ჯგუფი.
   დ) ინფრასტრუქტურის ჯგუფი.

საბჭოს სხდომა გახსნა უხუცესმა წევრმა - ბ.-ნმა რეზო ბერაძემ. დელეგატებს სიტყვით მიმართა, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, რის შემდეგაც მოხდა სხდომის თავმჯდომარის არჩევა. დელეგატებმა სხდომის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს მალხაზ რაზმაძე.

სხდომის ფარგლებში დელეგატებმა შეიმუშავეს 2017 წლის 9 თვის ბიუჯეტის დასკვნითი შემაჯამებელი რეკომენდაციები. რეკომენდაციები წარადგინეს საბჭოს მოქმედმა განათლების, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა, ინფრასტუქტურის და სპორტის, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა სამუაო ჯგუფებმა.

დელეგატებმა ასევე იმსჯელეს რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელიც საბჭოს უფრო ქმედუნარიანს გახდის და ხელს შეუწყობს მერიის სამსახურებთან ეფექტურ კომუნიკაციაში. ესენია: 1) საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის პროცედურები და მეთოდები; 2) პრობლემური საკითხების, განხორციელებული და განსახორციელებელი პროექტების ანალიზი; 3) დროული ინფორმირებულობა; 4) სუბორდინაცია.

სხდომის დასასრულს მოხდა შეხვედრის შეჯამება და შემდეგი შეხვედრის დღის წესრიგის განსაზღვრა.

საბჭოს

მდივანი

ნუკრი რამიშვილი

რუსთავი, საქართველო 12.03.2018 წ.